

**მეორე საერთაშორისო სტუდენტური
სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი**

**THE SECOND INTERNATIONAL CONFERENCE-COMPETITION
FOR STUDENTS IN MUSICOLOGY**

2011 თბილისი, საქართველო
2011 Tbilisi, Georgia

ბუკლეტზე მუშაობდნენ:

მაია სიგუა

ქეთევან ჭიტაძე

რუსუდან თაბაგარი

თინათინ გუდაძე

დიზაინი და დაკაბადონება

თეონა კვაჭაძე

გიორგი ტაბლიაშვილი

Booklet prepared by:

Maia Sigua

Ketevan Chitadze

Rusudan Tabagari

Tinatin Gudadze

Design and layout

Teona Kvachadze

Giorgi Tabliashvili



თანდათან ცხადი ხდება, რომ საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი არის მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალური მეცნიერების სფეროში. მისი მიზანია ახალგაზრდა მეცნიერების მოტივირება შემდგომი კვლევისთვის, სტუდენტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ინფორმაციის გაცვლა, პროფესიული კავშირების დამყარება სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოლოგთა შორის, კულტურული ურთიერთობების განვითარება ხალხებსა და ქვეყნებს შორის ფუნდამენტური სულიერი ღირებულებების საფუძველზე, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია მეცნიერება.

კონფერენცია-კონკურსი, რომელსაც წელს უკვე მეტად საინტერესო საკონცერტო ღონისძიება ახლავს, აფართოებს ჩვენს ურთიერთობებს და ღირსეულად წარმოაჩენს ქართულ კულტურასა და მეცნიერებას სხვა კულტურათა საერთაშორისო თანამეგობრობაში.

მივესალმები მეორე საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის მონაწილეებს და ჟიურის წევრებს და ვუსურვებ მდიდარ შთაბეჭდილებებს და წარმატებას მუშაობაში.

კონსერვატორიის რექტორი
პროფესორი
მანანა დოიჯაშვილი

ორგანიზატორებისგან

კონფერენცია-კონკურსის ჩატარების იდეა 2007 წელს დაიბადა.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკისმცოდნის პროფესია მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, გარკვეული მიზეზების გამო, ამ პროფესიის წარმომადგენლებს საქართველოში საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების რეალიზაციის ძალზე მცირე საშუალებები აქვთ. შესაბამისად, კლებულობს ამ ძალზე საინტერესო და საჭირო პროფესიით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვიც. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ — სტუდენტები დავმდგარიყავით ამ სფეროში მასშტაბური, მასტიმულირებელი და, ასევე, წამახალისებელი მოვლენის — კონფერენცია-კონკურსის ორგანიზების აუცილებლობის წინაშე. პირველი კონფერენცია 2009 წელს ლოკალური მასშტაბით ჩატარდა. მიღებულმა შედეგებმა და შეფასებებმა გაგვაბედინა და გადაგვანყვეტინა შემდეგ წელს საერთაშორისო ჩატარებაზე ფიქრი. 2010 წელს ჩატარდა პირველი სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია-კონკურსი, რომელშიც პირველ კონფერენციასთან შედარებით მონაწილეთა გაორმაგებული რაოდენობა დაფიქსირდა — სტუდენტები საქართველოდან, სომხეთიდან, ბელარუსიიდან.

წელს უკვე 30 მონაწილე გვყავს: საქართველოდან, ბელარუსიიდან, აზერბაიჯანიდან, ლატვიიდან და თურქეთიდან — მათი რაოდენობისა და გეოგრაფიული არეალის გაფართოება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი კონფერენცია-კონკურსი აქტუალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

ვიმედოვნებთ, კონფერენცია-კონკურსის მასშტაბი წლიდან-წლამდე კვლავ გაიზრდება და ამით ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ ახალგაზრდა თაობაში მუსიკისმცოდნეობის პოპულარიზაციასა და მომავალი ნიჭიერი მეცნიერების პროფესიულ განვითარებაში.

ქეთევან ჭიტაძე
მაია სიგუა
რუსუდან თაბაგარი

**2009 წლის სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის
გამარჯვებულები:**

თამარ მიქაძე – საუკეთესო მოხსენება მუსიკის ისტორიის მიმართულებით.

ლიკა ხორბალაძე – საუკეთესო მოხსენება მუსიკის თეორიის მიმართულებით.

ზაია ჟუჟუნაძე – საუკეთესო მოხსენება მუსიკის ისტორიის მიმართულებით.^ა

ნინო რაზმაძე – საუკეთესო მოხსენება ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით.

**2010 წლის პირველი საერთაშორისო
სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-
კონკურსის გამარჯვებულები:**

ირინა მაშკოვსკაია – საუკეთესო მოხსენება მუსიკის თეორიის მიმართულებით.

თეონა ლომსაძე – საუკეთესო მოხსენება ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით.

**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
მეორე საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო
სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი**

განრიგი

29 აპრილი

კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი

9:30 – მონაწილეთა რეგისტრაცია

10:00 – კონფერენცია-კონკურსის გახსნა

10:30 - 11:50 – დილის სესია

10:30 - 10:50 – თეონა ლომსაძე (საქართველო)

10:50 - 11:10 – ეკატერინა სამოხოვეცი (ბელარუსია)

11:10 - 11:30 – მარია ყარალაშვილი (საქართველო)

11:30 - 11:50 – ოლგა ცარიკი (ბელარუსია)

11:50 - 12:00 – შესვენება

12:00 - 12:20 – ინგა დემიანოვიჩი (ბელარუსია)

12:20 - 12:40 – ალინა როგაჩევა (ბელარუსია)

12:40 - 13:00 – ვერა მიხალევიჩი (ბელარუსია)

13:00 - 13:20 – ეკატერინე ყაზარაშვილი (საქართველო)

13:20 - 13:40 – იევა როზენბახა (ლატვია)

13:40 - 14:00 – ნანა კაცია (საქართველო)

14:00 - 15:00 – ლანჩი

15:00 - 16:50 – ნაშუადღევის სესია

(კონკურსგარეშე მონაწილეები)

15:00 - 15:20 – ილმა გრაუზდინა (ლატვია)

15:20 - 15:40 – ლარისა გუსტოვა (ბელარუსია)

15:40 - 16:00 – დათო ნადირაძე (საქართველო)

16:00 - 16:10 - შესვენება

16:10 - 16:30 – თამარ მიქაძე (საქართველო)

16:30 - 16:50 – სოსო კოპალეიშვილი (საქართველო)

18:00 კონცერტი კონსერვატორიის მუსიკოსები

30 აპრილი

კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი

10:30 - 11:50 – დილის სესია

10:30 - 10:50 – მარია ნესტეროვა (ბელარუსია)

10:50 - 11:10 – ეკატერინა სახარუკი (ბელარუსია)

11:10 - 11:30 – იულია ტარანუხა (ბელარუსია)

11:30 - 11:50 – მარიამ ცოცხალაშვილი (საქართველო)

11:50 - 12:00 – შესვენება

12:00 - 12:20 – ნარმინ გარალოვა (აზერბაიჯანი)

12:20 - 12:40 – რუსუდან ჭეიშვილი (საქართველო)

12:40 - 13:00 – კადირ ვერიმი (თურქეთი)

13:00 - 13:20 – ლალა გულიევა (აზერბაიჯანი)

13:20 - 13:40 – ლიკა ხორბალაძე (საქართველო)

13:40 - 15:00 – ლანჩი

15:00 - 16:50 – ნაშუადღევის სესია

15:00 - 15:20 – იავერ ნეიმატლი (აზერბაიჯანი)

15:20 - 15:40 – ელნარა მეჯიდოვა (აზერბაიჯანი)

15:40 - 16:00 – კენულ ხანკიშიევა (აზერბაიჯანი)

16:00 - 16:10 - შესვენება

(კონკურსგარეშე მონაწილეები)

16:10 - 16:30 – მაია სიგუა (საქართველო)

16:30 - 16:50 – ქეთევან ჭიტაძე (საქართველო)

17:10

კონფერენცია-კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება.

კონფერენცია-კონკურსის დახურვა.

1 მაისი

კულტურული პროგრამა.

მონაწილეები



ნარმინ ბაკალოვა

აზერბაიჯანი, ბაქო

ბაქოს მუსიკალური აკადემია
მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი
ეთნომუსიკოლოგიის
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი გულნაზ აბდულაზადე

დაიბადა 1982 წელს ბაქოში. 2001 წელს დაამთავრა მუსიკალური ტექნიკუმი ვიოლინოს განხრით. იმავე წელს ჩააბარა ბაქოს მუსიკალურ აკადემიაში მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში გამოდიოდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე. ფოლკლორული ნიმუშების შეკრების მიზნით მონაწილეობას იღებდა ექსპედიციებში და იყო ორტომიანი კრებულის „აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები“ – ერთ-ერთი შემდგენელი. 2005 წელს ჩააბარა მაგისტრატურაში, ხოლო შემდეგ - დოქტორანტურაში. ამჟამად მუსიკალურ აკადემიაში ასწავლის აზერბაიჯანული ეროვნული მუსიკის თეორიას და მუშაობს აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიაში.

მულამ-დასტგიახი „შური“ აზერბაიჯანსა და ირანში

მულამის ხელოვნება შეადგენს აზერბაიჯანის პროფესიული მუსიკალური კულტურის ზეპირი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს, მას გააჩნია ღრმა ფესვები აზერბაიჯანელი ხალხის კულტურულ ტრადიციასა და ისტორიაში.

აზერბაიჯანულ მუსიკაში არსებულ მულამის ფორმათა შორის მასშტაბურად და მხატვრული იდეის თვალსაზრისით ყველაზე მსხვილია დასტგიახი. მოხსენებაში განხილულია მხოლოდ აზერბაიჯანისა და ირანისთვის დამახასიათებელი მულამ-დასტგიახი „შური“, გაანალიზებულია მულამის ნაწილები ორივე ქვეყანაში. ასევე განიხილება მისი ისტორიული, კილო-ინტონაციური და მელოდიური თავისებურებები და სტრუქტურა.



ლალა გულიევა აზერბაიჯანი, ბაქო

ბაქოს მუსიკალური აკადემია
საკომპოზიტორო ფაკულტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი გულნაზი აბდულაზადე

დაიბადა 1970 წ. ბაქოში. დაამთავრა ბაქოს მუსიკალური აკადემიის საკომპოზიტორო ფაკულტეტი (პროფესორ ჯოვდეტ გაჯიევის კლასი). სწავლის პერიოდში დაწერა სიმფონია „აზერბაიჯანი“, კვარტეტები, 3 კვინტეტი, სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის სამ ნაწილად, 7 რომანსი. 1994 წელს წარჩინებით დაამთავრა ბაქოს მუსიკალური აკადემია და დაიწყო მუშაობა პედაგოგად მუსიკალურ სასწავლებელსა და დრამატულ თეატრში. 1999 წელს მიწვეულ იქნა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე ავსტრიაში და მიიღო მასტერკლასის დიპლომი კომპოზიციაში. ამჟამად მუშაობს მეცნიერ თანამშრომლად ბაქოს მუსიკალურ აკადემიაში და ამასთან ერთად, არის დისერტანტი.

რელიგია, მუსიკა და რიცხვები

მოცემულ სტატიაში ფილოსოფიურ ასპექტში განხილულია მუსიკის, რელიგიისა და რიცხვების კავშირები და კორელაციები. ძველი ინდოეთის, შუა საუკუნეები არაბული და ევროპული მუსიკის მაგალითებზე გამოკვლეულია, თუ როგორ აირეკლება ერთმანეთში ეს სამი საწყისი, და აგრეთვე რელიგიისა და რიცხვების გავლენა ცნობილი კომპოზიტორების შემოქმედებით საქმიანობაზე.



ინგა ღამიანოვიჩი

ბელარუსია, მინსკი

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი,
მუსიკის თეორია ბაკალავრიატის IV კურსი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი, პროფესორი
რადოსლავა ალადოვა

გროდნის მუსიკალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 2006 წელს ჩააბარა ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიაში. დაინტერესებულია სომხური კულტურით, ხშირად მონაწილეობს კონცერტებში, რომელსაც სომხური საზოგადოება ბელარუსიაში მართავს. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ხალხური სიმღერის დამუშავების გააზრების თავისებურებები კომიტასის შემოქმედებაში: „კომპოზიტორის და ფოლკლორის“ პრობლემისათვის

ნაშრომში მოცემულია ერთხმიანი სომხური ხალხური სიმღერის კომიტასისეულ სოლო და საგუნდო დამუშავებებში იმ მეთოდების ანალიზის ცდა, რომლებიც უდევთ მათ საფუძვლად. რიგი ნაწარმოებების მაგალითზე ავტორი შეეცადა ამოსავალ მასალასთან კომპოზიტორის მუშაობის მეთოდებზე დაყრდნობით შეექმნა ამ ჟანრის ნიმუშების კლასიფიკაცია.

ანალიზის პროცესში გამოვლინდა რიგი ხერხებისა, რომლებიც დასავლეთევროპულ ტრადიციებთან სიახლოვის მიუხედავად საკუთრივ ორიგინალური სომხური მუსიკის განუყოფელი ელემენტებია, რის შედეგად დადგინდა, რომ მუსიკალური ქსოვილის გამდიდრება ახალი, თანმხლები ხმების, ჰარმონიული ფერების, ფაქტურული ვარიანტების შემოტანის საშუალებით – ემსახურება კომპოზიტორის მთავარ მიზანს: ხაზი გაუსვას თავისი ბუნებით მონოდიური სომხური გლექური ჰანგის უპირატესობასა და სილამაზეს.



კაკი კვირიკი თურქეთი, სტამბული

ბაქოს მუსიკალური აკადემია
მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის
ეთნომუსიკოლოგიის სადოქტორო
პროგრამა

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი საადეტ აბდულაევა

1996 წელს დაამთავრა სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის თურქული მუსიკის კონსერვატორიის მაგისტრატურა. ამჟამად ბაქოს მუსიკალური აკადემიის დოქტორანტია. იგი არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორია, ინტენსიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, მსოფლიო მასშტაბით ეწევა აქტიურ სამემსრულებლო მოღვაწეობას.

ქემანის სტრუქტურული ხარვეზების უარყოფითი გავლენა და მათი დაძლევა შესრულებისას

ცხოვრებისეული გამოცდილება ყოველთვის ირეკლება დიდი ვირტუოზების შესრულებაში. ამის სრულყოფილად განხორციელებსათვის კი ისინი ყოველთვის ამჯობინებენ ტექნიკურად გამართული შესაძლებლობების მქონე საკრავზე დაკვრას. ზოგიერთი ინსტრუმენტისათვის, მაგალითად ვიოლინოსა და ქემანჩასთვის შესაძლებლობების განმსაზღვრელი ტექნიკური თვისებები მართლაც გაფართოებულია. საპირისპიროს ვიტყვით ქემანზე — ის ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ, ამ მხრივ, სუსტად განვითარებულ ინსტრუმენტად. აქედან გამომდინარე, ქემანზე შესრულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მისი მისი სტრუქტურული თვისებების განვითარება. მეორე მხრივ, სტრუქტურული სტანდარტიზაციის ნაკლებობის გამო ქემანისათვის ზოგადი საგანმანათლებლო მეთოდის მისადაგება და ამ მეთოდების წერილობითი დაფიქსირება ძნელია, რაც, შესაბამისად, ნეგატიურად მოქმედებს მასზე შემსრულებელთა განათლების ხარისხზე.



ნანა კასია

საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი
მუსიკის ისტორიის მიმართულება
ბაკალავრიატის IV კურსი
ხელმძღვანელი:
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოც. პროფესორი ქეთევან ბოლაშვილი

დაიბადა 1984 წელს ქ ხობში. 2006 წლიდან სწავლობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის თეორიის ფაკულტეტზე, მუსიკის ისტორიის მიმართულებით. 2007 წლიდან მონაწილეობას იღებს სტუდენტურ კონფერენციებში, კონცერტებში. პერიოდულად აქვეყნებდა სტატიებს გაზეთ „კულტურაში“. არის ინოვაციური ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების სასწავლო ცენტრის **delta learning**-ის საიტის ადმინისტრატორი. ინტერესთა სფერო მოიცავს იაპონურ კულტურას.

მისტერიიდან მისტერიამდე

მოხსნების თემა მიზნად ისახავს მისტერიის ჟანრის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპების ჩვენებას. ვიკვლევთ მისტერიის ჟანრის გენეზისს ევროპულ მუსიკალურ კულტურაში და მის ევოლუციას XIX-XX საუკუნეების მიჯნამდე.

მისტერიის განვითარების ისტორია ეტაპებად იყოფა. პირველი ეტაპი უკავშირდება ანტიკური პერიოდის ძველევგვიპტურ და ბერძნულ კულტურაში ამ ჟანრის გააზრებას სულიერი განწმენდის უმთავრეს რიტუალად, რომელშიც მონაწილეობდნენ მისტები. მისტერიის გამრეები მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ. მეორე ეტაპი მის ახალ ჟანრად, ლიტურგიულ დრამად გარდაქმნას უკავშირდება. მესამე ეტაპი უკავშირდება XIX-XX საუკუნის ევროპულ მუსიკალურ კულტურაში მიმდინარე პროცესებს, რამაც მისტერიის ჟანრის თავისებური რენესანსი გამოიწვია.



თაონა ლომსაქი

საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი
ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება
ბაკალავრიატის III კურსი
ხელმძღვანელი:
ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი,
ასოც. პროფესორი თამაზ გაბისონია

დაიბადა 1990 წელს. დაამთავრა გორის პირველი სამუსიკო სკოლა (1997-2004); სწავლობდა გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში (2005-2008). იგი სხვადასხვა ფესტივალისა თუ კონკურსის ლაურეატია, ასევე პირველი საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის გამარჯვებული ნომინაციებში - ფოლკლორის მიმართულების საუკეთესო მოხსენება და საუკეთესო პრეზენტაცია.

ზემო იმერული და ქართლური სიმღერების ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ქართული მუსიკალური დიალექტების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორები, ხალხთა მიგრაცია და მრავალი სხვა მოვლენა. ამ პროცესებით უნდა აიხსნას პარალელების არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ქართლ-კახურ დიალექტში შემავალი ქართლური კილოკავისა და დასავლეთ საქართველოს იმერული დიალექტის შემადგენელ ზემო იმერული კილოკავის სასიმღერო ნიმუშებში.

ჩვენი მოხსენება ორი კილოკავის სასიმღერო მასალის კვლევასა და მათ ურთიერთშედარებას ისახავს მიზნად. მასში გამოყენებულია ხარაგაულის, გორისა და კასპის რაიონებში ჩვენს მიერ ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა.



ელნარა მეჯიდოვა

აზერბაიჯანი, ბაქო

ბაქოს მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო ფაკულტეტი,
მუსიკისმცოდნეობის
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გულნაზ აბდულაზადე

დაიბადა 1979 წელს. 2001 წელს დაამთავრა ბაქოს მუსიკალური აკადემიის საფორტეპიანო ფაკულტეტის ბაკალავრიატი, ხოლო 2003 წელს – მაგისტრატურა (პროფესორ იური საბაევის კლასი). იმავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში და გადიოდა სტაჟირებას ფორტეპიანოს კათედრაზე. ამჟამად ბაქოს მუსიკალური აკადემიის დისერტანტია, აქვე მუშაობს ფორტეპიანოს პედაგოგად და მუსიკალურ ტექნიკუმში კონცერტმაისტერად. ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას.

მუსლიმ მაგომაევის საესტრადო და საოპერო შემოქმედება

მუსლიმ მაგომაევი... ეს სახელი ცნობილია მუსიკის მოყვარულთა ყველაზე ფართო მასებისათვის მრავალ ქვეყანაში. მან სახელი გაითქვა, როგორც ესტრადის მეგა-ვარსკვლავმა. 1960-70-იან წლებში საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთ წარმატებულად ჩატარებული კონცერტების შემდეგ მან მიაღწია უდიდეს აღიარებას. მომღერლის რეპერტუარი იყო ძალიან ფართო და მრავალფეროვანი. იგი იყო ერთ-ერთი პირველი იმ საბჭოთა მომღერლებს შორის, რომლებიც ასრულებდნენ პოპ-მუსიკას. მაგომაევი სიმღერასთან ერთად ხშირად აკომპანირებდა როიალზე, იგი ხომ ბრწყინვალე პიანისტიც გახლდათ! მუსლიმ მაგომაევი იყო საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი. მისი სახით აზერბაიჯანულმა კულტურამ დაკარგა ყოფილი საბჭოთა და მსოფლიო ვოკალური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი.



ვერა მინსკინი

ბელარუსია, მინსკი

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი,
მუსიკის თეორიის მიმართულება
ბაკალავრიატის II კურსი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი, დოცენტი ტატიანა ლეშჩენია

2009 წელს დაამთავრა ბრეტის გ. შირმის სახ. სახელმწიფო მუსიკალური კოლეჯი, ამჟამად ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიის საფორტეპიანო და საკომპოზიტო-სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტის სტუდენტია. სპეციალიზაციას გადის მუსიკის თეორიის კათედრაზე, დოცენტ ტატიანა ლეშჩენიას კლასში. მოცემულ მომენტში მისი სამეცნიერო ინტერესები კონცენტრირებულია ორი მიმართულებით: 1. იმპრესიონისტულ მუსიკაში ფორმაქმნადობის საკითხები; 2. ქრომატული ტონალობის ინდივიდუალური გააზრება XX საუკუნის მეორე ნახევრის კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ფაქტურულ-კილოური განვითარება, როგორც ფორმაქმნადობის ფაქტორი კ. დებიუსის შემოქმედებაში

იმპრესიონისტების ნოვატორობა მუსიკალური კომპოზიციის სხვადასხვა დონეზე განხორციელდა და რეალიზება ჰპოვა კილოური აზროვნების სისტემის რადიკალურ განახლებაში, უნიკალური გამომსახველობითი პოტენციალის მქონე ფაქტურულ „აღმოჩენებში“, მუსიკალური ფორმების აგებისადმი ახლებურ მიდგომაში. ორი როიალისთვის დაწერილ დებიუსის ციკლის „En blanc et noir“-ის II ნაწილის მაგალითზე, მოცემულ მოხსენებაში განხილულია კილოსა და ფაქტურის საკითხი, როგორც ფორმაქმნადობისა და სტილური (იმპრესიონისტული და ექსპრესიონისტული) დიფერენციაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.



ირაკლი ნიშაძე

აზერბაიჯანი, ბაქო

ბაქოს მუსიკალური აკადემია
სიმებიანი საკრავების ფაკულტეტი
შემსრულებლობის ისტორიის და თეორიის
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი გულნაზ აბდულაზადე

დაიბადა 1975 წელს. 2003 წელს დაამთავრა ბაქოს მუსიკალური აკადემიის ბაკალავრიატის ვიოლინოს კლასი პროფესორ ზახრა ყულიევთან, 2005 წელს კი – მაგისტრატურა. 2006 წელს ჩააბარა დოქტორანტურაში. მისი ინტერესების სფეროა სიმებიან საკრავებზე საშემსრულებლო ხელოვნების თეორია და ისტორია, განსაკუთრებით, საკვარტეტო მუსიკა. აქვეყნებს სტატიებს ადგილობრივ და საზღვარგარეთის ჟურნალებში.

ფრანგიზ ალიზადეს სიმებიანი კვარტეტი „ოაზისი“

ფრანგიზ ალიზადეს შემოქმედება წარმოადგენს მონინავე კომპოზიტორული ტექნოლოგიების სიმბიოზს ეროვნული სულის სრულყოფილების შენარჩუნებით. ამას გარდა, კომპოზიტორის ძიებები რთული კილოური ჰარმონიის სფეროში, მრავალფეროვანი შემადგენლობის კოლორიტული ინსტრუმენტობა, მუსიკალურ-სამეტყველო ინტონაციათა სიმდიდრე მისი შემოქმედების ინდივიდუალურ ნიშნებს ცხადყოფს. მოხსენებაში განიხილება ფრანგიზ ალიზადეს „ოაზისი“ სიმებიანი კვარტეტისა და მაგნიტოფირისთვის საშემსრულებლო ანალიზის კონტექსტში. საუკუნის მეორე ნახევრის კომპოზიტორთა სიმებიანი კვარტეტების უმრავლესობა დაშორებულია კლასიკური ოთხნაწილიანი სტრუქტურისაგან. სიმებიანი კვარტეტი „ოაზისი“ არის ერთნაწილიანი, რეპრიზულ-ვარიაციული ფორმის. მისი კილოური საფუძველია აზერბაიჯანული მულამი „ჩარგიახი“.



მარია ნესტაროვა

ბელარუსია, მინსკი

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი,
მუსიკის თეორიის მიმართულება
ბაკალავრიატის III კურსი

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი, ასოც. პროფესორი ტატიანა ტიტოვა

2009 წელს დაამთავრა მოგილევის სახელმწიფო მუსიკალური კოლეჯი, ამჟამად ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიის სტუდენტია. სპეციალიზაციას გადის მუსიკის თეორიის კათედრაზე, დოცენტ ტატიანა ტიტოვას კლასში. მოცემულ მომენტში მისი სამეცნიერო ინტერესები კონცენტრირებულია ორი მიმართულებით: 1. ფორმაქმნადობის საკითხები თანამედროვე ბელარუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში; 2. ოსტინატურობის პრობლემები სხვადასხვა ეპოქის მუსიკალურ ხელოვნებაში.

Basso Ostinato ფორმა, როგორც ნეობაროკოს სტილური მარკერი თანამედროვე ბელორუსულ მუსიკაში (ა. ლიტვინოვსკის **Stabat Mater**-ის მაგალითზე)

თანამედროვე ბელორუსი კომპოზიტორის ალექსანდრ ლიტვინოვსკის შემოქმედებაში ნეობაროკოს სახასიათო ნიშნები გაბნეულია ყველაზე განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებებში. მათში ბაროკოს მუსიკალური ენა გარდატეხილია არა მხოლოდ თემატიზმის ინტონაციურ შრეში, არამედ ფორმაქმნადობის თავისებურებებში, კილოჰარმონიულ ენაში, თემატიზმის განვითარების პრინციპებში, ინსტრუმენტობის საშუალებების შერჩევაში. ამ ათანაილიან ციკლში ნაწილების **Basso Ostinato** ფორმები კომპოზიტორის მიერ გაიაზრება, როგორც ბაროკოსა და თანამედროვე სტილისტიკის ორგანული სინთეზი.



ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი
მუსიკის ისტორიის მიმართულება
ბაკალავრიატის IV კურსი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი ოლგა დადიმოვა

ალინა როგაჩევა 2007 წლიდან ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიის საფორტეპიანო და საკომპოზიციო-სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტის, მუსიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტია (ბელარუსული მუსიკის კათედრა). მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო XIX საუკუნის ბელარუსული მუსიკალური კულტურაა. ამჟამად მისი კვლევის მთავარი ობიექტი იან კარლოვიჩის პიროვნება და მისი მუსიკალური მოღვაწეობაა.

იან კარლოვიჩი, როგორც რომანტიზმის ეპოქის ბელარუსული მუსიკალური კულტურის მოღვაწე

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია კარლოვიჩის (1836-1903) – ცნობილი კომპოზიტორის, მიჩნისლავ კარლოვიჩის მამის, ეთნოგრაფის, ლინგვისტის, ისტორიკოსის, კომპოზიტორის, მუსიკოლოგის მოღვაწეობის მნიშვნელობის განსაზღვრის მცდელობა რომანტიზმის ეპოქის სამეცნიერო-კულტურულ სამყაროში.

თავის კომპოზიციურ შემოქმედებაში იან კარლოვიჩი მუშაობდა ევროპულ და ზოგადსლავურ რომანტიკულ მუსიკალურ მიმდინარეობებში. ამ მიმართულებითვე, რომანტიზმისთვის სახასიათო ყურადღებით ლოკალური ტრადიციებისადმი, ვითარდება კარლოვიჩის მიერ ბელარუსული კულტურის (ისევე როგორც პოლონური და ლიტვური) რეალიზების გააზრების პროცესი, რაც მისი ეპოქის იდეალებთან სრულ თანხვედრაში იყო.



ირინა რუჟინაბახა

ლატვია, რიგა

ლატვიის ი. ვიტოლის სახ. მუსიკის აკადემია
მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი,
მუსიკის თეორიის
მიმართულების პოსტ-დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი ილმა გრაუზდინა

1997 წელს დაამთავრა ლატვიის მუსიკალური აკადემია (1999 მაგისტრატურა, 2009 დოქტორანტურა). მისი სამეცნიერო ინტერესებისა და კვლევის სფერო დაკავშირებულია ვოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკასთან, როგორც ისტორიულ, ისე თეორიულ რაკურსში. მისი დისერტაცია ეძღვნება პოლიფონიის თეორიის პრობლემებს, რაც განიხილება ლატვიელი კომპოზიტორების ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებების საფუძველზე. ი. როზენბახა ლატვიის მუსიკის აკადემიის მუსიკისმცოდნეობის კათედრის პედაგოგია, აქტიურად მონაწილეობს ლატვიასა და რუსეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში.

საკრალურისა და ხალხურის შერწყმა ლატვიელი კომპოზიტორების ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებებში

XX საუკუნეში საზოგადოებრივ ცნობიერებასა და აზროვნებაში მომხდარმა ცვლილებებმა დააახლოვა ოდესღაც იზოლირებული მხარეები. ამის ნათელი დადასტურებაა ლატვიელ კომპოზიტორთა ზოგიერთი ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები. მოხსენებაში განიხილება სამი მაგალითი, რომლებიც მიეკუთვნება რეკვიემის ჟანრს. ესენია: ვიქტორ ბაშტიკის (1912-2001) რეკვიემი, გეორგს პელეცის (1947) *Requiem latviense* („ლატვიური რეკვიემი“) ილონა ბრეგეს (1959) რეკვიემი (2010).

ამავდროულად, განხილულ ნაწარმოებებში საკრალურისა და ხალხურის შერწყმა იხსნება პოლისტილისტიკის მეთოდებით (ციტატა ან ალუზია).



ეკატერინა სამოხოვინი

ბელარუსია, მინსკი

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი,
შემსრულებლობის ისტორის და
თეორის მიმართულება

მაგისტრატურის I კურსი

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი, ასოც. პროფესორი
ვერონიკა სახაროვა

2005 წელს დაამთავრა მინსკის მ. გლინკას სახელობის მუსიკალური სასწავლებელი, ხოლო 2010 წელს ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. ამჟამად აგრძელებს სწავლას ამავე უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში, ფორტეპიანოს განხრით. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი – დოცენტი, ვ. სახაროვაა, ხოლო საშემსრულებლო ხელმძღვანელი – უფროსი მასწავლებელი ს. მიკულიკი.

რუსული საფორტეპიანო სკოლის ტრადიციების გარდატეხა ბელარუსულ მუსიკალურ ხელოვნებაში (ი. ცვეტაევას პედაგოგიკის მაგალითზე)

ბელარუსულ საფორტეპიანო სკოლას მდიდარი ისტორია აქვს. მისი ფორმირების სახასიათო თავისებურებაა უწყვეტი კავშირი რუსულ საფორტეპიანო კულტურასთან, პირველი რუსული კონსერვატორიების მუშაობასთან და მრავალი გამოჩენილი მუსიკოსის პედაგოგიურ მოღვაწეობასთან, რომელთა აღზრდილებს მათ შორის არიან ბელარუსული საფორტეპიანო სკოლის დამაასებელი პედაგოგები და მათი მოწაფეები, ბელარუს შემსრულებელთა მომდევნო თაობა, რომელთა შორისაა ცნობილი პიანისტი, პედაგოგი, ბელარუსიის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ი. ცვეტაევა. მან ბელარუსულ საფორტეპიანო სკოლაში შექმნა თავისი საკუთარი „განშტოება“ რომელიც გენეალოგიურად დაკავშირებულია კ. იგუმნოვთან და ლ. ობორინთან. მოხსენებაში სწორედ ეს განშტოება განიხილება.



ეკატერინა სასარუკი

ბელარუსია, მინსკი

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი, მუსიკის
ისტორიის მიმართულება
მაგისტრატურის I კურსი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი ოლგა დადიმოვა

დაიბადა 1985 წელს. 2005 წელს დაამთავრა ბრესტის გ. შირმას სახ. მუსიკალური კოლეჯი. ამჟამად ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიის მაგისტრანტია. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ბელარუსიასა და რუსეთს შორის არსებული მუსიკალური კავშირები. სადიპლომო ნაშრომის თემაა: „ბელარუსიასა და რუსეთს შორის არსებული მუსიკალური კავშირების ისტორიიდან“. დისერტაციის თემაა: მუსიკალური კავშირები ბელარუსიასა და რუსეთს შორის XX საუკუნემდე.

ბელარუსიასა და რუსეთს შორის არსებული მუსიკალური კავშირების ისტორიიდან XVII-დან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე

ნაშრომში ასახულია რუსულ-ბელარუსული კავშირების თავისებურებები XVII და XVIII საუკუნის I ნახევარში. ფაქტების აღწერის სისტემატიზაციისა და ორი კულტურის მუსიკალურ-ისტორიული მოვლენების ანალიზმა შედეგად გამოავლინა, რომ მოცემულ პერიოდში, რუსულ-ბელარუსული კავშირები ხელოვნების სფეროში განაპირობებდნენ რუსეთში დასავლეთევროპული რენესანსისა და ბაროკოს ფორმების შეღწევას. საანალიზო ეპოქის კულტურული კავშირების ხასიათის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ბელარუსული კულტურა იყო „კულტურა-დონორი“ და ადაპტაციის საშუალება რუსულ ნიადაგზე დასავლეთევროპული ტრადიციების დანერგვის პროცესში.



იულია ტარანუშა

ბელარუსია, მინსკი

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი,
მუსიკის ისტორიის მიმართულება
ბაკალავრიატის II კურსი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი, უფროსი მასწავლებელი
ნატალია განული

იულია ტარანუშა ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიის II კურსის სტუდენტია. სპეციალიზაციას გადის მუსიკის ისტორიის კათედრაზე, უფროსი მასწავლებლის ნ. განულის კლასში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა – XX საუკუნის ეროვნული მუსიკალური კულტურის ისტორია (მუსიკალური თეატრი, კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, ვოკალური მინიატურა), ხელოვნების სხვადასხვა სახეობების ურთიერთქმედების საკითხები, მუსიკალური ფსიქოლოგია და ესთეტიკა.

კონსტანტინე ბალმონტი და სერგეი პროკოფიევი: ორი სამყაროს გზაჯვარედინზე

სტატიაში განხილულია კ. ბალმონტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ესთეტიკისა და პოეტიკის ზოგიერთი საკითხი. მისი პოეზიის ცენტრალური სახეები თითქმის ასი წლის განმავლობაში ეხმიანებოდა რამდენიმე თაობის კომპოზიტორთა მისწრაფებებს, მათ შორის იყო თანამედროვე ბელორუსი კომპოზიტორი გორელოვა. მოცემული ნაშრომის საანალიზო მასალას წარმოადგენენ პროკოფიევის რომანსები *op. 9 № 1* „არის სხვა პლანეტები“, *op. 23 № 4* „ჩემს ბალში“, ვოკალური ციკლი „კ. ბალმონტის ხუთი ლექსი“, საფორტეპიანო პიესების ციკლი „ნამიერებანი“; აგრეთვე გორელოვას ინსტრუმენტული *opus*-ები, მათ შორის საფორტეპიანო ციკლები „ათი ფერია“ და „წელიწადის დრონი“, ნაწარმოებები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის.



კაკაბერიანე ყაჯარაშვილი

საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი,
საეკლესიო მუსიკის მიმართულება.
ბაკალავრიატის IV კურსი.

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე

დაიბადა 1987 წელს. დაამთავრა III სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილება. იკვლევს ქართულ ტრადიციულ გალობას. 2004 წლიდან თავადაც გალობს ტაძარში. ქართული ტრადიციული გალობის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული რამდენიმე ღონისძიების ორგანიზატორია. მონაწილეობს სხვადასხვა სტუდენტურ კონფერენციაში, 2010 წელს თბილისის I საერთაშორისო სტუდენტურ სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსზე, გადაეცა დიპლომი ნომინაციაში – „საუკეთესო დისკუსია“.

პარაკლისის მსახურება ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში

მოხსენებაში განხილულია პარაკლისის მსახურების თავისებურებანი ქართულ ტრადიციაში, რომელიც სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა ქართველ მუსიკისმცოდნეთა მხრიდან. კვლევა ჩატარებულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერის – Q 672 და სხვა ისტორიულ, თუ სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით. აღნიშნული ხელნაწერი გალობით დაინტერესებულ პირთათვის მისი ჩაწერიდან საუკუნის შემდეგ გახდა ცნობილი.

მოხსენებაში განხილულია პარაკლისის ისტორიული განვითარების გზა, როგორია პარაკლისის აგებულება და მისი მუსიკალური ნაწილის თავისებურებანი; რა ფაქტორებმა განაპირობა ამ საგალობლების საღვთისმსახურო პრაქტიკიდან გაქრობა; რამდენად შესაძლებელია დღეს მისი პრაქტიკაში სრული სახით აღდგენა და დამკვიდრება.



მარიამ ყარალაშვილი

საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

მუსიკის თეორიის ფაკულტეტი

მუსიკის ისტორიის მიმართულება:

ბაკალავრიატის IV კურსი

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მარინა ქავთარაძე

დაიბადა 1989 წელს. 2007 წლიდან თბილისის კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის სტუდენტია. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას კერძო სკოლა „British connection“-ში. 2010 წლიდან რადიოს მუსიკალური გადაცემის „რადიოანშლაგის“ წამყვანი და კორესპონდენტი, ასევე ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის (EYP) თბილისის სესიის დელეგატი. 2010 წელს იყო ამერიკის საელჩოს ფესტივალ Jazz Kavkaz-ის თარჯიმანი და არტ დირექტორის თანაშემწე. 2008, 2010 წლებში თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთ. სიმპოზიუმის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი. პერიოდულად აქვეყნებს სტატიებს კონსერვატორიის, თეატრალური უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის ერთობლივ გაზეთ „კულტურაში“, ჟურნალ „ბომონდში“, გაზეთ „24 საათში“. დაინტერესებულია ჯაზით.

„აღმოსავლური“ ჯაზის საკითხისათვის

მოხსენება ეძღვნება „აღმოსავლურ“ ჯაზს. აღნიშნული მოვლენა მოხსენებაში აზერბაიჯანული ჯაზის და ე.წ მულამ-ჯაზის მაგალითზე განიხილება.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: 1. მოდალური ჯაზის ძირითადი პრინციპები; 2. მულამ-ჯაზის ჩამოყალიბების წინაპირობა აზერბაიჯანულ მუსიკაში. 3. მიზეზები რომელმაც განაპირობა დასავლური ჯაზისა და აღმოსავლური მაკამური ტიპის ხელოვნების დაახლოება.



ოლგა ცარიკი

ბელარუსია, მოლოდენო

ბელარუსიის მუსიკალური აკადემია
საფორტეპიანო და საკომპოზიტორო-
სამუსიკისმცოდნეო ფაკულტეტი,
მუსიკის ისტორიის მიმართულება

I ნლის დოქტორანტი

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი ოლგა დადიმოვა

ოლგა ცარიკმა 2001 წელს ჩააბარა შიკოროვის სახ. თანამედროვე მეცნიერების ინსტიტუტში მუსიკალური ხელოვნების ფაკულტეტზე. ამჟამად ბელარუსიის მუსიკის სახელმწიფო აკადემიის ბელარუსული მუსიკის კათედრის ასპირანტია. მუშაობს მოლოდენოს ოგინსკის სახ. სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელში მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების პედაგოგად. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ბელარუსული მუსიკალური კულტურა XIX საუკუნიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

ბელარუსიის მცირე ქალაქების მუსიკალური კულტურის ისტორიიდან (მოლოდენოს მაგალითზე)

ბელარუსიის მცირე ქალაქებმა შემოინახეს ბელარუსი ხალხის ისტორია, თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა და ტრადიციები. პროვინციული ქალაქების წარსული და დღევანდელი მუსიკალური კულტურის შესწავლის მიმდინარეობისას იხსნება უზარმაზარი ინფორმაციული, ასევე სულიერი და ღირებულებითი რესურსები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების განვითარების პროცესების გააზრებისთვის.

მოცემული სტატია წარმოადგენს მინსკის ოლქის მცირე ქალაქების მუსიკალური კულტურის ანალიზის ცდას. განსაკუთრებული ყურადღება მათ შორის ერთ-ერთ წამყვან ქალაქს – მოლოდენოს ეთმობა.



მარიამ ცოცხალაშვილი

საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი,
მუსიკის ისტორიის მიმართულება
ბაკალავრიატის III კურსი

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი მარინა ქავთარაძე

დაიბადა 1988 წელს, 2007 წელს ჩააბარა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე. 2008 წლიდან თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის, მუსიკის თეორიის ფაკულტეტის სტუდენტი და იკვლევს მოცარტის საოპერო შემოქმედებას.

მუსიკალური შეჯიბრის იდეა (მოცარტისა და სალიერის შემოქმედების მაგალითზე)

მოხსენება ეძღვნება მუსიკალური შეჯიბრის თემას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულს ყველა დროსა და ქვეყანაში. თემის პრეზენტაციას ვახდენთ — მოცარტისა და სალიერის შემოქმედების მაგალითზე. 1786 წელს ვენაში შემდგარ მუსიკალურ კონკურსზე, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა გერმანული ზინგ-შპილი და იტალიური ოპერა-ბუფა სალიერის - “Prima la musica, poi le parole”-მ დაამარცხა მოცარტის “Der Schauspieldirektor”-ი. მოხსენების თემასთან მიმართებით ეპოქის ისტორიულ ფონზე განხილულია ამ ოპერების ჟანრის და დრამატურგიის პრობლემები.



რუსუდან ჭიჭვილი

საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი,
მუსიკის ისტორიის მიმართულება,
ბაკალავრიატის III კურსი.
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მარინა ქავთარაძე

დაიბადა 1991 წელს. ამჟამად თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. იკვლევს არაეფროპულ მუსიკას.

თურქული მუსიკალური კულტურის ზოგიერთი საკითხისათვის

ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვან კულტურათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თურქეთს. თურქული ხელოვნება შედარებით ახალი წარმომშობისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან განვლო განვითარების რთული გზა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო მუსიკის საგანძურში.

მოხსენებაში მსჯელობა წარიმართება შემდეგი მიმართულებით:

1. ტერმინ „აშიკთან“ დაკავშირებული ეტიმოლოგიური ასპექტები;
2. როგორი იყო აშიკური ფენომენის გავრცელების არეალი;
3. რა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის მუსიკალურმა კულტურამ ქართულზე, კერძოდ თურქულმა აშიკურმა ხელოვნებამ.



კენულ ხანციხეია

აზერბაიჯანი, ბაქო

ბაქოს მუსიკალური აკადემია
ისტორიულ-თეორიული ფაკულტეტი
მუსიკის თეორიის მიმართულების დისერტანტი
ხელმძღვანელი: დოცენტი,
ხელოვნებათმცოდნეობის
კანდიდატი ულვია იმანოვა

დაიბადა 1981 წელს. საშუალო სკოლისა და მუსიკალური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, 1998 წელს ჩააბარა ისტორიულ-თეორიულ ფაკულტეტზე ბაქოს მუსიკალურ აკადემიაში. 2002 წელს დაამთავრა ბაკალავრიატი, 2004 წელს – მაგისტრატურა. 2006 წელს გახდა მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობის პერიოდში მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაში, აქვეყნებდა სტატიებს ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში. ამჟამად მუშაობს მეცნიერ-თანამშრომლად ბაქოს მუსიკალურ აკადემიაში, პედაგოგად ბაქოს ჰუმანიტარულ კოლეჯში და ამავედროულად არის დისერტანტი.

მამედ ყულიევის სიმფონიური შემოქმედება

მოხსენებაში მიმოხილულია მამედ ყულიევის სიმფონიური შემოქმედება. ამ ავტორის სახელთან დაკავშირებულია ახალი ტალღა აზერბაიჯანულ სიმფონიურ მუსიკაში. თითქმის ყველა მისი ნაწარმოებში სხვადასხვაგვარად, ხან აშკარად, ხან კი შეფარვით აღინიშნება ახალი მიდგომები, ავტორის უნიკალური ხელწერა და ნოვაციები. ყულიევის სიმფონიური შემოქმედება სამემსრულებლო შემადგენლობისა და სტრუქტურული თვალსაზრისით ძალზე მრავალფეროვანია: ესაა I სიმფონია 4 ნაწილად, II სიმფონია სიმებიანებისა და ფორტეპიანოსთვის 3 ნაწილად, მესამე სიმფონია “აზერბაიჯანი” 5 სოლისტის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, IV სიმფონია “მულამი” და სხვა, ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული ნაწარმოებები.



ლიანა სოკიალაია
საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
საშემსრულებლო ფაკულტეტი
ფორტეპიანოს მიმართულება
ბაკალავრიატის III კურსი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, ასოც. პროფესორი
ქეთევან ბოლაშვილი

დაიბადა 1987 წელს. 2010 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტი, ამავედროულად, 2008 წლიდან სწავლობს ამავე სასწავლებლის საშემსრულებლო ფაკულტეტზე ფორტეპიანოს სპეციალობით. გაიმარჯვა 2009 წლის სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსში (საუკეთესო მოხსენება მუსიკის თეორიის მიმართულებით), მონაწილეობდა 2010 წლის პირველ საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსში. აქტიურად მონაწილეობს კონცერტებში, რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია

საფორტეპიანო ეტიუდის ჟანრი: გენეზისი და განვითარების ძირითადი ეტაპები

ეტიუდის ჟანრს განვითარების ხანგრძლივი და არაერთგვაროვანი გზა აქვს განვლილი, თუმცა სხვა ჟანრთა შორის ის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილია. სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი შინაარსისა და მხატვრული ჩანაფიქრის გახსნაზე, ინტერპრეტაციის თავისებურებებზე.

მოხსენებაში მოკლედ მიმოვიხილავთ ეტიუდის განვითარების ძირითად ეტაპებს, ყურადღებას გავამახვილებთ ჟანრის სახასიათო მხარეებზე და შესრულების ზოგიერთ ასპექტზე.

არასაკონკურსო მონაწილეები



მაია სიშუა

საქართველო, აბაშა/თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი,
მუსიკის ისტორიის მომართულება,
I ნლის დოქტორანტი
ხელმძღვანელი:
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოც. პროფესორი ქეთევან ბოლაშვილი

2008 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი, 2010 წელს — მაგისტრატურა. სწავლის პერიოდში იყო საქართველოს პრეზიდენტისა და დიმიტრი არაყიშვილის, ასევე ჩინეთის საელჩოს სტიპენდიანტი. იკვლევს თანამედროვე ოპერას. არის საზ. რადიოს გადაცემა “მუსიკალური რადიოანშლავის” წამყვანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის თანამშრომელი, მონაწილეობდა სხვადასხვა საკონცერტო და სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებაში. არაერთი საგაზეთო და ორი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია.

2009 წლიდან სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის ორგანიზატორია (ქეთევან ჭიტაძესთან ერთად).

მუსიკისა და დრამის ურთიერთდამოკიდებულების მოდიფიკაციები XX საუკუნის II ნახევრის ოპერაში

მოხსენებაში XX საუკუნის II ნახევრის რამდენიმე ნიმუშის მაგალითზე განხილულია მუსიკალური თეატრის ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, მუსიკისა და დრამის ურთიერთდამოკიდებულება და ის ჟანრული მოდიფიკაციები, რომელთაც გამოიწვიეს კარდინალური ცვლილებები ოპერის ჟანრულ ბუნებაში და განაპირობა მრავალი სხვადასხვა ნაირსახეობის გენერირება.



ქეთევან ჭიჭაძე
საქართველო, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
მუსიკის თეორიის ფაკულტეტი,
მუსიკის თეორიის მიმართულება,
III წლის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, ასოც. პროფესორი
ქეთევან ბოლაშვილი

დაიბადა 1982 წელს. დაამთავრა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის III სამუსიკო სასწავლებელი მუსიკის თეორიის განხრით (1998-2002). 2002 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მისი სამეცნიერო ინტერესები კონცენტრირებულია XX საუკუნის ტრადიციული ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრების ირგვლივ, ასევე იკვლევს ჟანრის თეორიას. დაინტერესებულია XX საუკუნის ნოტაციით. ქ. ჭიჭაძე არაერთი პროექტის ორგანიზატორია, რომელთა შორისაა მოცემული კონფერენცია-კონკურსი.

ის ასევე თეატრალურ სფეროშიც მოღვაწეობს: 2008 წლიდან ხელის ჩრდილების თეატრ „ბუდრუგანა გაგრას“ მსახიობია.

სიმფონია XX საუკუნეში: ჟანრული პარადიგმის დადგენის პრობლემა

მოხსენება სიმფონიის ჟანრის პარადიგმულ ნიშნებს ეხება XX საუკუნის მუსიკაში.

